


ძლიერ აზიანებს ნერვიულ სისტემას და ზოგჯერ ინვევს ადამიანის სიკვდილსაც. რაც შეეხება ზოგიერთი ნაწლავური ტიპის მიკრო ბაქტერიებს, როგორებიცაა ფეკალური სტრეფტოკოკები და ეშერიხია კოლი, ისინი ხშირად ქმნიან ანტიბიოტიკარულ სიტუაციას სტიქიური ნაგავსაყრელების გარშემო და ქმნიან საშიშროებას იმისა, რომ მოსახლეობა დაავადდეს მუცლის ღრუს სხვადასხვა ტიპის ინფექციური დაავადებებით.

განსაკუთრებულად საშიშ მასალად ითვლება აზბესტი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხშირად იხმარება სამშენებლო სამუშაოების დროს და ის გამოიყენებაროგორც სამშენებლო მასალა (მოდველებული აზბესტის ნაჭრები საკმაოდ ხშირად გვხვდება ნაგავსაყრელებზეც). უნდა აღინიშნოს, ის რომ უკვე დადგინდა, რომ აზბესტის მტვერი ინვევს ფილტვების კიბოს ადამიანებში და მრავალ ქვეყანაში მისი გამოყენება უკვე აიკრძალა.

საქართველოში სტიქიურ ნაგავსაყრელების ტერიტორიებზე მეტნაკლებად გვხვდება თითქმის ყველა ზემოთხსენებული დამაბინძურებელი ინგრედიენტები, რაც ასე ვთქვათ ყურადსაღები ფაქტია ჩვენი ქვეყნისათვის. აქედან გამომდინარე აუცილებელია, რომ ქვეყანაში იყოს სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელი (რომელიც ჩვენს ქვეყანაში არა არის), სახელმწიფოს მხრიდან იყოს სრული შემოთავაზება შესაბამისი სერვისებისა და ამალდეს მოსახლეობის ცნობიერება, რათა მათ მიერ წარმოქმნილი ნარჩენები არ ღმოჩნდნენ კონტეინერებისმიღმა.



**პროექტი**  
**„დავასუფთავოთ საქართველო“**  
**(ფაზა III)**  
**სორცილდება შვედეთის მთავრობის**  
**ფინანსური უზრუნველყოფით.**

**დამატებითი ინფორმაციისათვის**  
**დაგვიკავშირდით:**  
**საქართველოს გუნების მკვლევართა**  
**კავშირი „ორკისი“**  
**ქ.თბილისი, ტაშკენტის ქ. 10<sup>ბ</sup>**  
**ტელ.: +995 322 38 51 99; +995 599 77 52 37**  
**ელ-ფოსტა: orchisge@yahoo.com**  
**ვებ-გვერდი: www.orkisi.ge; www.cleanup.ge**



**შეუნარჩუნე შვილებს ჯანსაღი გარემო**  
**და უზრუნველყავი მათი მომავალი!**



**საქართველოს გუნების მკვლევართა**  
**კავშირი „ორკისი“**



**სუფთა გარემო**  
**ჩვენი აზრებია!**



# სტიქიური ნაგავსაყრელები და ადამიანის ჯანმრთელობა

სტიქიური ნაგავსაყრელები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ეკოსისტემების დაბინძურების პროცესებში. საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი "ორქისის" სამუშაო ჯგუფმა, პროექტის "დავასუფთაოთ საქართველო" ფარგლებში, რომელიც შეედეტის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით ხორციელდება, ჩაატარა კვლევები, რომლებიც გვიჩვენებენ, რომ დამაბინძურებელ კომპონენტთა შორის სტიქიური ნაგავსაყრელების მიმდებარე ტერიტორიებზე ხშირად გვხვდება ისეთი კონცეროგენული კომპონენტები, როგორებიცაა ზოგიერთი მძიმე ლითონები (Pb, Cu, Zn, Cd, As, Hg, Cr...), პათოგენური ბაქტერიები (E-coli, ტოტალური კოლიფორმები, ფეკალური სტრეფტოკოკები, კოლსტრიდიუმ პერფიგენსი...), სხვადასხვა ადვილად აქროლადი ორგანული კომპონენტები (დიოქსინი, ფურანი, ბენზოპირენი, ვინილქლორიდი...), რომელთა კონცენტრაციები ხშირად აჭარბებენ ხოლმე ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებს (ზდკ). აქედან გამომდინარე, ისინი ხშირად ხდებიან სხვადასხვა ტიპის დაავადებების გამომწვევ მიზეზად, იმდენად, რამდენადაც ისინი შეიძლება პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზებით მოხვდნენ ადამიანთა ორგანიზმში და ამით გარკვეულწილად შეუქმნან საფრთხე მოსახლეობას.



მოცემული დამაბინძურებელი კომპონენტები სტიქიურ ნაგავსაყრელებზე ხვდებიან სხვადასხვა საგნებისა თუ საკვები ნარჩენების სახით - ვადაგასული ნამლები, ვერცხლისწყლიანი თერმომეტრები, ნყობიდან გამოსული წნევის აპარატები, ბატარეები, ნათურები, პამპერსები, საღებავებიანი ჭურჭელი, საბურავები, საკვები ნარჩენები და სხვა. დროთა განმავლობაში ისინი გადადიან სხვადასხვა ეკოსისტემების შემადგენლობაში (ნიადაგი, წყალი, ატმოსფერული ჰაერი) და ხდებიან მათი შემადგენელი ნაწილი, შედეგად აბინძურებენ მიმდებარე ტერიტორიებს. შემდგომში კი იმდენად, რამდენადაც ამ ტიპის ნაგავსაყრელები განლაგებული არიან დასახლებულ ტერიტორიებთან ახლოს, ისინი სფრთხეს უქმნიან ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობასაც.

ნაგავსაყრელებზე განსაკუთრებით საშიშია ასევე საყოფაცხოვრებო ტექნიკის მოხვედრა, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა ტოქსიკურ ელემენტებს, რომლებიც ინვევენ ადამიანებში სხვადასხვა ტიპის დაავადებებს. მაგალთად - ისეთი ელემენტი როგორცაა კადმიუმი (Cd), რომელიც შედიან საბურავების შემადგენლობაში, ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას ინვევენ ფილტვის კიბოს და გამოყავთ ნყობიდან ისეთი ორგანოები, როგორცაა თირკმელი. ტყვია (Pb), ადამიანის ორგანიზმში მოხვედრისას, ინვევენ ისეთ დაავადებას როგორცაა ენცეფალოპათია, ანემია და ნერვიული სისტემის სხვადასხვა დაავადებები. დარიშხანის (As) მოხვედრისას

ორგანიზმში კი ირღვევა ენდოკრინოლოგიური სისტემური ფუნქცია (თავს იჩენს ჩიყვის დაავადებები) და სხვა, ხოლო ვერცხლისწყალს (Hg) კი ადამიანის ორგანიზმში ნყობიდან გამოყავს მთელი ცენტრალური ნერვიული სისტემა, ინვევენ ძირითადი ორგანოებიდან სისხლდენას და ხშირ შემთხვევაში ადამიანების ვერცხლისწყლით მონამღვა თავდება მათი სიკვდილით. ასევე საყოფაცხოვრებო ტექნიკაში შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი ტოქსიკური ნივთიერება, როგორცაა ფრენი, რომლის ორგანიზმში მოხვედრისას, ის ინვევენ ადამიანებში ნარკოტიკული ტიპის ზემოქმედებას.

სამწუხაროდ კანცეროგენული მძიმე ლითონები ხშირად კონცენტრირდებიან და ნაწილდებიან ადამიანების მთავარ ორგანოებში (ფილტვები, თირკმელები, თავის ტვინი, ძვლის სისტემა და ა.შ.), ზოგჯერ გადადიან სისხლის შემადგენლობაშიც და შედეგად ინვევენ ამ ორგანოების ფუნქციონალურ მოშლას. მაგალითად ტყვია და კადმიუმი ორგანიზმში მოხვედრისას აგდებენ და შესაბამისად იკავებენ ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტების ადგილს როგორებიცაა რკინა და კალციუმი და შემდგომში მათი ორგანიზმიდან გამოდევნა ხდება შეუძლებელი. ვერცხლისწყალი კი (განსაკუთრებით აირად მდგომარეობაში)

